

ახალი

„მედნიერია ის, ვისაჲ
სამშობლოსათვის უძვერს გული..“

ჭანიადი



ჭანიადი

85 წელი
თქვენთან
ერთად!

აღმოსა

2016 წელი 30 ივნისი № 6 № 8112

AxaliGantiadi@gmail.com



სამეცნიერო მოქალაქე-
ბრივი ჰასყინბეგბელოვისა
და თავდაცვისათვის გვ2.

მაღალმთიანი რეგიონების
განვითარებისათვის გვ2.

ფარეარ ქალთა ასოციაციის
შენიშვნა გვ2.



ვიმლინარა
ინფრასტრუქტურული
სამუშაოები გვ3.

დაიწყო პატრია-პავ-
ლოვის მარხვა (27
ივნისი-11 ივლისი)



გვ5. მეთოდოლოგიურად
ეთუდუდნი სასწავლო
პროგრამის წყალობით

გახსოვდეს
შენი (მეორე)

ბუნება ულამაზეს-
თა შემოქმედებაში გვ7.

სამშობლო იცავთა გვ6.



ქართული საზოგადოების
ჰანა-მარია-ქართული
სამუშაოები გვ7.

სალტცბადტ
სკოლა გვ4.

№2 და №3 საბავშვო
ბაღების
სრული რეაბილიტაცია
გვ2.



ევრაზიის ჩემპიონატის გვ8.
გამარჯვებული და პრიზიორი

“ თ ბ ი ს ი ს
გ რ ა ნ პ რ ი ს ”
ტურნირზე გვ8.

სეზონის გვ9.
მოდური
საზრუნავი



სასპორტო კალიფორნიის
გვ8.

გაიხანით ჩვენი პატარა გზაგები -
ბარბარა, მათე და საბა გოგიაშვილები.



სამჯავროთო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდაცობისათვის

თბილისში 2015 წლის 13 ივნისის სტიქიამ მდინარეების ვერესა და მტკვრის ადიდება გამოიწვია. წყნეთი-ბეთანიის გზატკეცილზე ჩამოწოლილმა მეწყერმა რამდენიმე სოფელი გარე სამყაროს მოწვევითაა. წყალდიდობამ დაანგრია სახლები, დაიღუპნენ ადამიანები, გარეული და შინაური ცხოველები.



სტიქიის სალიკვიდაციო - სამაშველო ოპერაციების დროს გმირულად დაიღუპა სოფელ ალაიანის მკვიდრი, მაშველი ზურაბ მუხაშვილი, რომელმაც 7 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

მომხდარი წყალდიდობის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდადებისთვის ზურაბ მუხაშვილი საქართველოს პრეზიდენტმა თავდადების მედლით დააჯილდოვა.

ვაკის რაიონში რამაზ ჩხიკვაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მესანძრე-მაშველის ზურაბ მუხაშვილის სახელი მიენიჭა.



მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის თანახმად, კასპის მუნიციპალიტეტში შექმნილია და მოქმედებს მათი - ჩვენი მოვალეობა აღნიშნული პროგრამის კანონის ფარგლებში წარმოება და ხელშეწყობა - აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თეიმურაზ ხიზანაშვილმა.



მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო. აღნიშნული საბჭო მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირისათვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება, აღდგენას აწარმოებს.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო. აღნიშნული საბჭო მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირისათვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება, აღდგენას აწარმოებს.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლობაში ფერმერ ქალთა ასოციაციამ შეხვედრა გამართა. ასოციაციის გამგებობის თავმჯდომარემ ირინ ფხვიელის ვილმა ისაუბრა ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე, ფერმერ ქალთა საქმიანობის ხელშეწყობაზე, ფერმერთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ფერმერ ქალთა საკუთრების და კონსტიტუციით მინიჭებული სხვა უფლებების დაცვის მხარდაჭერასა და ფერმერ ქალთა ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებაზე.

ფერმერ ქალთა ასოციაციის შეხვედრა



ღია საჭიდაო არენა

სოფელ ქვემო გომში დასრულდა ღია საჭიდაო არენის მოწყობის სამუშაოები, რომელიც შპს "შენეკომპლექს-მა" განახორციელა. მოეწყო მოედანი მსაჯებისთვის, სახურავი გადაიხურა პროფნას-ტილით, მაყურებლისათვის გაკეთდა ოვალური დასაჯდომები. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა (23 598 ლარი).

№2 და №3 საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში უცხოური საწარმოს ფილიალი "ფერლით - ჯორჯია" №2 და №3 საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაციის სამუშაოებს აწარმოებს. ორივე საბავშვო

ბაღში ჩატარდება შემდეგი სამუშაოები: დამონტაჟდება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრები, იატაკზე დაიგება ლამინატი, შეიცვლება ელექტროგაყვანილობა, საკანალიზაციო და სასმელი წყლის



ქსელი, მოეწყობა შეკიდული ჭერი, სველი წერტილები, გარე განათება, შესრულდება სამღებრო სამუშაოები, შემოიღობება ეზო და დაიგება ასფალტი. სამუშაოებზე 430 000 ლარი დაიხარჯება, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

დაღი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.



მეზანი - ქვემო გომის გზის შეკეთება

მიმდინარეობს მეტეხი - ქვემო გომის 4 500 გრძობი მეტრი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ორმოული და სურათობრივი შეკეთება. სამუშაოები ხორციელდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, რომელსაც "სავალი სამშენებლო სამმართველო №1" ასრულებს.

საზღვიმო მართობი



დიდი ხნის წინ (გასული საუკუნის დასაწყისში) ჟენევაში გამართულ ბავშვთა კეთილდღეობის მსოფლიო კონფერენციაზე პირველი ივნისი ოფიციალურად გამოცხადდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ. მას შემდეგ მოყოლებული მთელ მსოფლიოში და მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც პატარების გულის გასახარად ათასნაირი კულტურული ღონისძიება ეწყობა... იმართება საზღვიმო კონცერტები და სანახაობრივი წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საზღვიმო მართობის ბავშვებთან ერთად სიამოვნებით ერთვება მთელი საზოგადოება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მონაწილეობენ მუსიკოს-შემსრულებლები. აი, სწორედ ასე იყო კასპის ცენტრში, კულტურის სახლის წინ, ღია ცის ქვეშ საგანგებოდ მოწყობილ, ფერად-ფერადი ბუმბუტებითა და ქოლგებით მოფენილ სახელდახელო არენაზე თავს იწონებდნენ გამოპრანჭული გოგობიჭვები...

საზღვიმო ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა

და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური /უფროსი თეა ხორბალაძე/, კულტურის დაწესებულებების გაერთიანება /დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი/ და საინფორმაციო მხარდაჭერი გაზეთი "ახალი განთიადი". გარდა ამისა, კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არაფერი დაიშურა იმისათვის, რომ ეს დღე დაუვიწყარი, ლამაზი და შინაარსიანი ყოფილიყო ბავშვებისათვის და არა მხოლოდ პატარებისათვის. ისე, რომ დღესასწაულზე ვერაფერი მოიწყენდა, დიდ-პატარა, მოცეკვავეები თუ მოძღერლები, სპორტსმენები, მუსიკოს-შემსრულებლები, თეატრალური თავს კომფორტულად გრძობდნენ... მარტო ბავშვები კი არა, დიდებიც თავს არ ამორებდნენ დედაქალაქიდან, სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოტანილ გასართობ ატრაქციონებს. პატარებისა და მათი მშობლების დაუსრულებელი რიგი იდგა სახელდახელოდ მოწყობილ "რკინიგზის სადგურზე", სადაც პატარა, კეთილმოწყობილი ვაგონით ხუთეკვს გოგო-ბიჭს შეეძლო სულ რამდენიმე წუთით მანც ეხალისა...

დღესასწაულზე პატარები ძალიან საინტერესო, წინასწარ შედგე-

ნილი და მომზადებული კონცერტით წარდგნენ მაყურებლის წინაშე, აქ იყვნენ ქალაქის მეორე და მესამე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო სტუდიის /ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/ მოძღერლები, კასპის სამუსიკო სკოლის გაერთიანებული გუნდის /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ წევრები, აგრეთვე ინდივიდუალური შემსრულებლები თათია ხორგუაშვილი, ანა გიგაური, სალომე მასიკაშვილი, რომელთა მიერ შესრულებულმა ჰიტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. საინტერესო იყო დღის თაკო და თიკო ქოსაშვილის დუეტი და ქორეოგრაფიული ანსამბლის /ხელმძღვანელი ხათუნა გაგაძე/ მიერ წარმოდგენილი თანამედროვე ცეკვები.

მოწონება დაიმსახურა ქალაქის მეორე საბავშვო ბაღის ბავშვების მიერ დადგმულმა წარმოდგენამ სახელწოდებით "პრეზიდენტები", რომელშიც მონაწილეობდნენ პატარები მარი მალაქიძე და უჩა გოგოლაძე. სხვათა შორის, მეორეხარისხის არ ჩამორჩნენ მესამე საბავშვო ბაღის ბავშვებიც და მათმა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თორნიკე თებულაშვილმა ყველას

ყურადღება იმით მიიქცია, რომ მან დოლის თანხლებით შეასრულა პატრიოტული სიმღერა "სამასი არაგველები", ხოლო ანდრია ტყემალაძემ ბავშვების საყვარელი სიმღერა "რა დილა თენდება" შეასრულა. აპლოდისმენტები დაიმსახურეს სტუდიის ბავშვებმა: ანი ოქროპირიძემ, მარიამ ბერიძემ, თამარ ბალიაშვილმა, გიორგი გაბისიანმა, გიორგი ჯავახიშვილმა, ლიზა ლეჟავამ, თეკლა ონიკაშვილმა...

პატარებისა და დიდების სადღესასწაულო მართობის სტუმრობდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის გონა გონიშაშვილი. იგი გულითადად მიესალმა ბავშვებსა და მათ მშობლებს, კონცერტის ორგანიზატორებს და მიულოცა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ.


მუსიკისა და თეატრალური სანახაობის გარდა ბავშვებმა, განსაკუთრებით კი, უფროსებმა გული იჯერეს სპორტული სანახაობითაც, საინტერესო გამოსვლა ჰქონდათ კასპელ კარატისტებს /ხელმძღვანელი კლუბ "ხვადის" მწვრთნელი დავით დალაქიშვილი/, მათ შორის იყვნენ გოგონები: მარიამ მერებაშვილი, ქეთი წიკლაური, ანა ყაზარაშვილი. მათმა საჩვენებელმა ორთაბრძოლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია... კონცერტის კულმინაცია გახლდათ თბილისიდან სპეციალურად მოწვეული ბავშვების საყვარელი ზღაპრების გამიზნა. ზეიმის მონაწილენი აპლოდისმენტებით შეხვდნენ "ლეგენდარულ" სპაიდერმენს, რომლის სიახლოვეს კოპწიაობდნენ ფიფქია და ფერია. ერთი სიტყვით, სტუმრებმა ჩვენს ბავშვებს ძალიან საინტერესო და სახალისო შოუ გაუმართეს, დიას, ზღაპრული გამიზნების გასართობ პროგრამას უძღვებოდა წამყვანი, რომელმაც თავისთან იხმო ბავშვები და ყველა ერთად იღხენდა... დღის ბოლომდე ისმოდა ხალისიანი, ნაცნობი მელოდიები, ბავშვების ჟრიაბულმა მოგვიანებით ახალ ბაღში გადაინაცვლა, სკვერში მოწყობილ საქანელებთან ერთობოდნენ სადღესასწაულოდ გამოპრანჭული გოგო-ბიჭები.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები

ქალაქ კასპში გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამჟამად ქალაქში მიმდინარეობს სამი საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, ე.წ. წყალსაქანის მიმდებარედ საავტომობილო ხიდის მშენებლობა, პაატას, გრიშაშვილის, კოჯრის და თავისუფლების ქუჩების მოასფალტება და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები.

კასპში დღეს ერთდროულად, რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. ჩვენი მიზანია ჩატარებული სამუშაოებით მოსახლეობას მეტი სარგებელი მიეცეთ და შევუქმნათ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა გონიშაშვილმა.



კვირულის ფარგლებში

საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით მთელი ქვეყნის მასშტაბით 21 მაისს საზეიმო ვითარებაში აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე... ამ დღესთან დაკავშირებით, მუზეუმების კვირეულის ფარგლებში გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომლის ორგანიზატორები

იყვნენ: მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, საინფორმაციო მხარდაჭერი გახლდათ გაზეთი "ახალი განთიადი".

მუზეუმის დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი ქალაქის საზოგადოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, ახალგაზრდები, მოწვეული სტუმრები. შეკრებილ სა-

ზოგადობას მიესალმა და მუზეუმების საერთაშორისო დღე მიულოცა დამსწრეთ მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩაღუნელმა. სტუმრებს მიესალმა მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი ხატია ხორგუაშვილი, რომელმაც დამსწრეთ წარუდგინა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვები... საქმე ის გახლავთ, რომ პატარა "თეატრალურმა", მუზეუმის დღესთან დაკავშირებით მაყურებელს



შესთავაზეს ქართული მწერლის, გოდერძი ჩოხელის გახმაურებული რომანის "სულეთის კიდობანის" მიხედვით შექმნილი სცენარის ერთ-ერთი ეპიზოდი "სებას მუზეუმის" თეატრალიზებული წარმოდგენა (ხელმძღვანელი მუზეუმის განყოფილების გამგე ნანა მერეზაშვილი) და ყველას მოწონება დაიმსახურეს...

მოწვეულ სტუმრებსა და ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდობას გულითადად მიესალმა და მადლობა გადაუხადა აქტიურობისათვის

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ შემდეგ დარბაზში განთავსებულ სპეციალურ მონიტორზე დაიწყო დოკუმენტური ფილმების ჩვენება, მართალია, ხალხმრავლებული ადამიანები, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდები გვიანობამდე უსმენდნენ მუსიკას, პატრიოტულ თემაზე შექმნილ ქართულ სიმღერებსა და საგალობლებს...

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



პროექტის მხარდაჭერი — კასპის მუნიციპალიტეტი

სალოცმართ სკოლა



შარშან, მარტის დასაწყისში კასპში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სალოტბარო სკოლა (ლოტბარი ზაზა მენაბდიშვილი, მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი ეკა ყაზარაშვილი), რომელმაც ქართული ხალხური ტრადიციული სიმღერისა და გალობის ბევრი მოყვარული და თავყვანისმცემელი გააერთიანა. მგალობლების, გუნდის მომღერლების: გიორგი ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბეგლარაშვილის, ამიკო მელაძის, ზაზა გეჯაძის, მიხეილ ბაზუაშვილის, მარიამ ტყემალაძის, ანი კაპანაძის, ნინო ტყემალაძის, თამთა ღურგლიშვილის, ხატია მამულაშვილის, სალომე თინიკაშვილის, ნატალია ოდიშვილის, ქეთევან გეჯაძის მონაწილეობით არაერთი კულტურული ღონისძიება გაიმართა ჩვენს ქალაქში.

სულ ახლახან კი, სალოტბარო სკოლის ინიციატივით ქალაქის კულტურის ცენტრში გაიმართა შემაჯამებელი

ღონისძიება, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია...

საქმე ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა კასპელი მგალობლების გამოსვლას თვალს ადევნებდნენ და შეაფასეს დედაქალაქიდან მოწვეული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალისტებმა, რომელთა შორის იყვნენ: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენელი თამარ ახოპაძე, აგრეთვე, რეგიონული პროექტის სამსახურის ხელმძღვანელი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის კოორდინატორი შიდა ქართლში მიხეილ ჯავახიშვილი. ღონისძიებას სტუმრობდნენ აგრეთვე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი.

— გუნდის გამოსვლამ მსმენელი ალტაცებაში მოიყვანა, ეს გახლდათ დაუვიწყარი, საოცრად ამაღლებული გალობა, სიამაყისა და სიხარულის განცდა დამეფულა, როდესაც ამ ახალგაზრდების სიმღერას ვისმენდი, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი, — იზაბელა კობიაშვილი, — არ გაადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ამ საოცრად ნიჭიერმა ბავშვებმა და მათმა პედაგოგმა ზაზა მენაბდიშვილმა გასაოცარ შედეგს მიაღწიეს სულ რაღაც მცირე დროის მონაკვეთში და მსმენელს წარუდგინეს აკადემიური კონცერტი. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სალოტბარო სკოლის შემოქმედებითი კოლექტივი, მომღერლები და მათი მშობლები, ქართული ფოლკლორის თავყვანისმცემლები გულითად მადლობას უხდიან კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობას ბატონ გოჩა გოჩიტაშვილს, რომლის აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით კასპში დღეს ფუნქციონირებს სალოტბარო სკოლა.

ისღა დავგრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ გუნდის მომღერლებს, გვეჯერა, რომ ისინი ბევრჯერ გაგვახარებენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ქველმოქმედება

მარტო თანატოლები კი არა, მთელი სოფლის ახალგაზრდები და აქტივისტები შემოიკრიბეს ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და სოფლის კულტურის სახლის ინიციატივითა და ორგანიზებით საჩვენებელი კონცერტი გამართეს... სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ მოსწავლეები, მათი მშობლები და მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის გოჩა გოჩიტაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლებ-

ის, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი. მრავალფეროვანი, გემოვნებით შედგენილი საჩვენებელი საკონცერტო პროგრამა ყველას მოეწონა. ერთმანეთს ერწყმოდა ცეკვები, სიმღერები, მხატვრული კითხვა და თეა-

რების მხარდაჭერით კონცერტზე შეგროვდა გარკვეული თანხა, რომელიც ორი წლის ნიკოლოზ ტურაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობას მოხმარდება. ამ საქველმოქმედო, კულტურულმა ღონისძიებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.



რების მხარდაჭერით კონცერტზე შეგროვდა გარკვეული თანხა, რომელიც ორი წლის ნიკოლოზ ტურაშვილის საზღვარგარეთ მკურნალობას მოხმარდება. ამ საქველმოქმედო, კულტურულმა ღონისძიებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

სრულფასოვანი, სამჯერადი კვება

წლის დასაწყისში დოქტორის საბავშვო ბაღში /გამგე სოფორონიშვილი/ საზვიამოვითარებაში გაიხსნა დამატებითი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე, სტანდარტული აღჭურვილობით, ბაღში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ პატარებმა მიიღონ შესაფერისი აღზრდა, განვითარება. აღსაზრდელებს აქვთ სრულფასოვანი, სამჯერადი კვება.

საბავშვო ბაღის პედაგოგიური კოლექტივი და აღსაზრდელები, მათი მშობლები დახმარებისა და ზრუნვისათვის მადლობას უხდებიან კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელობას.

დოქტორის საბავშვო ბაღი.

კასპის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და დახმარებით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების /დირექტორი მანანა ხეთისიაშვილი/ ორგანიზებით ინტენსიურად, თანმიმდევრულად მიმდინარეობს ქალაქის (არა მხოლოდ ქალაქის) ხუთივე საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება... ერთ-ერთი პირველი, სადაც მშენებლები გამოჩნდნენ, ქალაქის პირველი საბავშვო ბაღი იყო, უწყვეტად, შეუფერხებლად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოები, იმასაც ამბობენ, რომ მშენებლები უდიდესი პასუხისმგებლობით, საგულდაგულოდ და რაც მთავარია, ზარისხიანად აკეთებენ ყველაფერს, თან პირობას იძლევიან, რომ სამუშაოებს დროულად დაამთავრებენ... მანამდე კი, საბავშვო ბაღის /დირექტორი მზია ჭალიაშვილი/ პედაგოგიური კოლექტივი ჩვეული შე-

მართებითა და მონდობებით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას. ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებს, აქ მომუშავე პერსონალს აქვს კარგად შემუშავებული, მეთოდოლოგიურად დახვეწილი, ეფექტური სასწავლო პროცესის პროგრამა, რომელიც გამოიხატება დიაგნოსტიკითა და კულტურულ-შემცნებითი ღონისძიებებით, მხიარული ესტაფეტებით, ბავშვთა გამოფენებით, - აცხადებს ბაღის აღმზრდელი მკაღვინიაშვილი, - ეს ყველაფერი კი, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად ზრდის პატარების აქტივობას და სურვილს, ბაღიდან წასვლის შემდეგ იყვნენ კიდევ უფრო მოტივირებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელში ინკლუზიური განათლების დანერგვასა და კვალიფიკა-

მეთოდოლოგიურად ეფექტური სასწავლო პროცესის წყალობით



ციას. სწორედ ამ თვალსაზრისით ამ რამდენიმე ხნის წინ ჩატარდა ტრენინგი "ინკლუზიური განათლება". ტრენინგზე განხილული იყო ბავშვის პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიები. აღნიშნული კურსი მოიცავდა ბავშვის კოგნიტური და მოტორული უნარების შესაფასებელი

ტესტების ჩატარების სწავლებას და ამდენად, ინკლუზიური განათლება შესაძლებლობას იძლევა შეიმუშაონ ინდივიდუალური მეთოდები თითოეული ბავშვისათვის. №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები ახალი სასწავლო წლიდან მოუთმენლად ელიან პატარების ახალ

ნაკადს, მათ აქ დახვედრათ თბილი, კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო. წელს კი, ბაღის 38 კურსდამთავრებული შეადგებს სკოლის კარს. ბავშვები, მათი მშობლები, მასწავლებლები გულითად მადლობას უხდებიან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დახმარებისა და ხელშეწყობისათვის.

საკანმანათლებლო პროგრამისა და მეთოდოლოგიური სწავლების პროცესის დაძლევა უპირველესი საზრუნავია ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის დახმარებითა და ხელშეწყობით, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების ორგანიზებით უკვე მეორე წელია, მიმდინარეობს ბაღის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება...

გასული წლიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, დღესაც გრძელდება ჩვენთან სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ. სწორედ მისი დაფინანსებითა და დახმარებით თანამედროვე სტანდარტებით, უმაღლეს დონეზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, - აცხადებს ბაღის გამგე თამარ დეკანოზიშვილი, - ბევრი ინატრებს ჩვენსაირ კეთილმოწყობილ, გალამაზებულ და საჭირო ინვენტარით აღჭურვილ სამზარეულოს, აგრეთვე, მოწესრიგებულ საკუჭნაოს, არ ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რაც მთავარია, მოწესრიგებულია წყალგაყვანილობაც, ასეთი "ფუფუნება" არასდროს გვქონია, თქვენ წარმოიდგინეთ, უზრუნველყოფილი ვართ ცხელი წყლითაც. ერთი სიტყვით, ბოლო ორ-სამ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ დარჩა, რომელსაც

აუცილებლად მოვაგვარებთ ეტაპობრივად.

აი, სწორედ ასეთი იმედინი და პოზიტიური განწყობით შეხვდნენ სტუმრებს ამ დღეებში ბაღში გამართულ დამამთავრებელი ჯგუფის ზემოხე. სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზს არც მაყურებელი აკლდა, აქ იყვნენ მშობლები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი მანანა ხეთისიაშვილი) წარმომადგენლები... ფოლკლორითა და ცეკვა-სიმ-



ღერით, ლამაზი სანახაობით, საინტერესო სეპტჩრებითა და მხატვრული კითხვით გაჯერებული საათნახევრიანი კონცერტით ყველა მოიხიბლა. - წლებიანდელი ჩვენი კურსდამთავრებულები საკმაოდ ძლიერი ბავშვები არიან, მათ-

თან მუშაობისას ბოლო წელი განსაკუთრებით საინტერესო იყო, - აცხადებენ დამამთავრებელი ჯგუფის აღმზრდელი თამილა გორგაძე და მისი თანამემწე მზალო გულიაშვილი, - როგორც ყოველთვის გოგონე-



ბი გაბედულები, უფრო აქტიური არიან ზოლმე და რატომღაც ჩრდილავენ ბიჭუნებს, წელს თითქოს ეს ნაკლებად შეინიშნება, რაც რასაკვირველია, მისასაღებელია.

ბაღის მთელი კოლექტივი მონდობებული და ორგანიზებულია, რათა მხარში ამოუდგნენ ბავშვების მშობლებს, იზრუნონ პატარებზე, რომლებსაც თავს ევლებიან აღმზრდელი მარინა კავთაშვილი, მუსიკის მასწავლებელი ნონა ბახტაძე, მეთოდისტი ცინარ ამირეზაშვილი, ფსიქოლოგი რუსუდან

შემოდგომაზე ახალ შევსებას ელოდნენ

ერაშვილი... ბავშვების მშობლები ირმა გორგაძე, რუსუდან გოგიაშვილი და სხვებიც უდიდეს მადლიერებას გამოთქვამენ, თან გაოცებულებიც არიან იმის გამო, რომ შინ მისული ბავშვები დედის მომზადებულ სადილ-ვახშამს, ბაღის საჭმელს ამჯობინებენ და ამის "მიზეზი" ბაღის ახალგაზრდა, მარჯვე მზარეული შორენა გერმანოზაშვილია. იგი ყოველთვის ითვალისწინებს პატარების სურვილებსა და განწყობას, ერთმანეთის მონაცვლეობით, სწორედ ისე, როგორც ბავშვები ითხოვენ, მათი გე-

მოვნებით ამზადებს კერძებს. ახლა კი, როცა კიდევ უფრო გალამაზდა და კეთილმოეწყო სამზარეულო, მართლაც რომ იდეალური სამუშაო პირობებია ბაღში, ყველას გაუადვილებს საქმე... მალე ბაღში საზაფხულო არდადეგები დაიწყება, შემოდგომაზე ახალ შევსებას ელოდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

მკითხველს შეუძლია მოგვასწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, სავაჭრო ურთხვირდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, სავაჭრო ქ. 68. ან დარეკოს წელიფონზე: 03712 22576.

ვინჩენცო ლამონა: გახსოვდეს შენი (მეორე) სამშობლო იტალია...

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში უახლეს ისტორიულ გზაგასაყარზე შინაურ თუ ქვეყნის გარეთ მოკალათებულ მტერთა წყალობით, მავანთა ახირებით სამამულო ომის სახელდებაც კი მრავალგზის განსჯის საგანი გახდა ...

“ექვსასი ათასზე მეტი მეომარი მისცა საქართველომ ფრონტს, ყოველი მესამე ბრძოლის ველზე დაეცა” ... ამ ომმა თავისი მასშტაბით, ადამიანთა მსხვერპლით ყველა ომს გადააჭარბა და ძალიან საინტერესო ისტორიები შემოგვინახა.

დღეს ვიხსენებთ ჩვენი თანაქალაქელის ივანე მალაფერიდის ამბავს და აქვე გვინდა ერთი მნიშვნელოვანი დეტალის აღნიშვნა - წელს, 9 მაისს ივანე მალაფერიდის მეუღლეს ქალბატონ ალექსანდრას იტალიიდან გამოგზავნილი მადლობის ბარათი გადასცეს.

ჩვენ ვიცით იტალიის პარტიზანული რაზმის ქართველი ჯარისკაცის ბრძოლის ამბავი?

სხვათა შორის, ტყვეობიდან თავდაღწეული, იტალიის პარტიზანთა რაზმის წევრის სამშობლოში დაბრუნება იმდროინდელ ქვეყანაში გადასახლება ან დახვედრას უდრიდა. ივანე კი ყველაფრის მიუხედავად საქართველოში დაბრუნდა, გაზარდა სამი შვილი, შვილიშვილები ...

გთავაზობთ ამონარიდს მწერალ გიორგი ხორგუაშვილის წერილიდან “იტალიელი ძმების სიყვარულით.”

“მოხდა ისე, რომ ტყვედ ჩავარდა. კიევის ტყვეთა ბანაკში უკრეს თავი, გაპარვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა, მერე ბერლინი “აჩვენეს” და ბოლოს იტალიაში ჩაიყვანეს.

ფაშისტებმა დიდხანს ვერ იყოლიეს მონურ მორჩილებაში ივანე მალაფერიდე. მან იტალიელი პატრიოტების დახმარებით მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა. კასპში გაზრდილი ობოლი ბიჭი იტალიელმა პატრიოტებმა “მილანელი” გახადეს.

ქართველი ვაჟკაცი იტალიელ პარტიზანებთან გაშინაურდა. მოექცა “გარიბალდისა” და “გრეპის” სახელოვან პარტიზანულ ბრიგადებში, იმ რაზმებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდა სახელოვანი მოსკატელი. მისი ერთ-ერთი მეტაური იყო ვინჩენცო ლამონა.

მილანში მალაფერიდე იმალებოდა პარტიზანების ჩეზარე და პიეროს ოჯახში. მათი

დედა როზინა ივანეს თავის მესამე შვილად სთვლიდა. ერთხელ მისი შვილების კვალს მიაგნეს და დააპატიმრეს. ივანემ თავი შეაფარა კარლო როლოს ოჯახში. მის ქალიშვილს, მუსიკის მასწავლებელ ვირჯინიას ადრევე იცნობდა, როგორც კეთილშობილ და გამბედავ ქალიშვილს, რომელიც ფაშისტების წინააღმდეგ მოქმედებაში ხელს უწყობდა პარტიზანებს.

ვირჯინიას დედა ტერეზა როლო უშიშარი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფაშისტების განადგურებაში. მათი შვილი ალბერტიც მამაცი პარტიზანი იყო, უმცროსი ვაჟი ცეზარიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მეზობლებს. ამ ოჯახმაც შვილივით შეიფარა იგი და ხელი შეუწყო, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღო იტალიის განთავისუფლებაში. როგორც მამაცი მებრძოლი და პარტიზანული დავალებების კარგი შემსრულებელი, ივანე მალაფერი-

იდე დააწინაურეს, ათმეტაური გახადეს. 1944 წლის გაზაფხულზე მალაფერიდის ბიჭები ჩაუსაფრდნენ ფაშისტების ავტოკოლონას. 12 სატვირთო ავტომანქანა მოსპეს ტყვიაწამლით, სანოვაგითა და მცველებიანად.

მალაფერიდის პარტიზანებმა დამე ააფეთქეს მილანში ფაშისტების სამხედრო საწყობი, ასევე დამე შეიპარნენ მილანის ციხეში, რომელიც სან ვიტორეს უბანში მდებარეობდა. ციხის კარის გაღება მოახერხეს და იტალიელი პატრიოტები, მათ შორის ძმები ჩეზარო და პიერო, რომელთა ოჯახში რამდენიმე თვის წინ იმალებოდა ივანე მალაფერიდე, გამოაპარეს.

ვანო მალაფერიდის მამაცობით, გამბედაობით და მოხერხებით აღტაცებული



იყვნენ პარტიზანები, ხოლო ფაშისტები ცოფდებოდნენ. ისინი ისე გამწარდნენ, რომ ი. მალაფერიდის შესაპყრობად ან მოსაკლავად დააწესეს ჯილდო - 8000 ლირა.

იტალია, იქაური ხალხი, მეგობრები სულითა და გულით შეიფარა ივანე მალაფერიდემ. მაგრამ თავისი სამშობლოს ნახვის წყურვილი კლავდა. აი დადგა განშორების ფაზა - 1945 წლის ბოლო დღეები. დიდი ზეიმით გამოაცილეს იქაურმა მეგობრებმა. ივანეს სურათები დაიტოვეს. შვიდმა მათგანმა მას გამოატანა თავისი სურათი. ფოტოსურათებს მეორე მხარეს იტალიურად გაუკეთეს წარწერები.

პარტიზანთა ბრიგადის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვინჩენცო ლამონა თავის სურათს ასე აწერს:

“ივანე მალაფერიდეს, რომელიც მამაცურად იბრძოდა ფაშისტებისა და ნაცისტების წინააღმდეგ, არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას. ძალიან გვწყენის, რომ გვშორდება ასეთი




გულისხმიერი და საუკეთესო მეგობარი. გახსოვდეს შენი (მეორე) სამშობლო იტალია, რომლისთვისაც თავს არ ზოგავდი.

ვინჩენცო ლამონა. მილანი. ჩეზარე კორენტის ქ. № 11”.

ივანე მალაფერიდე საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ იტალიელი მეგობრები არ დავიწყებია. მათი სიყვარულით თავის ვაჟებს დაარქვა იტალიელი მეგობრების სახელები - ცეზარი და ალბერტი.

მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო. სიტყვაძუნწი ივანე იშვიათად დასძრავდა ენას თავის საბრძოლო ამბებსა და მეგობრებზე. ალბათ მეც არ მეტყვოდა, შემთხვევით გამოსაუბრების დროს სახელი რომ არ ეთქვა თავისი შვილისა (ცეზარი) და არ ჩავძიებოდი. არ მოვეშვი, დაწვრილებით ვაამბობინე, დოკუმენტები შევიწავლე. ნარკვევი დაწვრივ და “კომუნისტის” რედაქციას მივაშურე. დაინტერესდნენ მისი საქმიანობით. გვირჩიეს, იტალიის გაზეთ “უნიტას” რედაქციაში ი. მალაფერიდეს გაეგზავნა წერილი. რჩევა ჭკაუში დაგვიჯდა. შევადგინეთ ტექსტი რუსულ



ენაზე და წერილი გაეგზავნეთ “უნიტას” რედაქციაში, გაგაყოფოთ ფოტოსურათებიც. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა “უნიტას” ვეზემლარი, სადაც დაბეჭდილი იყო ი. მალაფერიდის საკმაოდ მოზრდილი წერილი, რომლითაც ივონებდა მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიაში ყოფნას, ჩამოთვლიდა მის მიერ წარმოებულ ბრძოლებს, მადლობას უხდოდა იტალიელ ხალხს, ასახელებდა თავის მეგობარ პარტიზანებს, რომელთა ბედი აინტერესებდა.

მაღე ქ. კასპში ივანე მალაფერიდის მისამართით იტალიიდან მოვიდა ვრცელი წერილები. ერთ მათგანში ფოტოსურათიც იყო. დახედა ივანემ და იცნო ცოლ-ქმარი ტერეზა და კარლო როლოები. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ესენი ხომ ისინი არიან, რომლებმაც შეიფარეს ოჯახში და შვილივით მოუარეს. წერილის ავტორები ივონებენ ბრძოლის ამბებს და შემდეგ აცნობენ თავიანთი ოჯახების მდგომარეობას.

“მადლობას გიხდით იტალიის კეთილად გახსენებისათვის და გულთბილი მეგობრობის გრძნობისათვის”. მისამართს წერენ ისინი და სთხოვენ მაღე გაუგზავნოს წერილები, ალაღვინოს მეგობრობა.

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გაგუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი

საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი“. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავკეთო ჟურნალ „ფენომენს“, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ

მეუხრობელის კვლავი

აქსნული, უცნაური, შეუცნობელი გამოგვიხმარეთ, დაგვიკავშირდით


კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავ-

ივით მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე. გამოგვიხმარეთ!

შეხვედით საინტერესო ავტორებს

ზავშვონაში ნათქვამი “ფრთხანი ფრაზები” მთელი რხოვრება ალამაზენენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ “ოქროს ფონდში,” თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა

შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბოზნი ხდებიან. შეინახეთ თქვენი ზავშვონის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში “მაცნა-ტუნა” და გაცნობთ სასურველი სტუმარი.





მაისის მიწურულს კასპის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ლიტერატურული ღონისძიება სახელწოდებით "გაზაფხულია ფეთქავს კოკორი", რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები... ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა საბავშვო განყოფილების სპეციალისტმა ციციანო ქენჭაძემ. მან თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა ქართველი კლასიკოსების ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, იოსებ გრიშაშვილის, იროდიონ ევლოშვილის, ნოდარ დუმბაძის, გოდერძი ჩოხელის და სხვათა ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება ბუნებას.

ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მოსწავლეებს ბევრი შეკითხვა ჰქონდათ განხილულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. აქტიურობდნენ მოსწავლეები: ნეკა და მარიამ მჭედლიშვილები, თამარ ბალიაშვილი, ლიზი და ნუცი საჩალელები, ანა ქამხაძე, ლაზარე ქენჭაძე, მარიამ მუკნიაშვილი, ბარბარე ბაქაძე, ლიზი ბერიაშვილი.

ლიტერატურული ღონისძიება შეაჯამა ბიბლიოთეკის გაერთიანების (მენეჯერი მაია მარჯანიძე) დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა, მან ბავშვებს მადლობა გადაუხადა აქტიურობისათვის. **კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გაერთიანება.**

ბუნება უცხოების შემოქმედებაში



საქართველოში ღვინისა და, ამასთან, ნადიმის ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ამიტომ, სუფრის ფორმისა და შინაარსის ორიგინალობა ქართველთა ცნობიერებისა და ფსიქიკური წყობისათვის ნიშანდობლივ თვისებებს წარმოაჩენს. ალბათ, ამიტომაც დღემდე საინტერესო და სიცოცხლისუნარიანი ეს რამდენადმე პათეტიკური და დამლელი ტრადიცია.

*ქართული სუფრის
წარმოქმნილი
უცხოების*



მართალია, თამადა ამ დადგმის რეჟისორიცაა და მთავარი როლის შემსრულებელიც, მან უნდა შეძლოს და წარმოაჩინოს სუფრასთან მჯდომი ყოველი ადამიანი, მისი საუკეთესო თვისებებითა და შესაძლებლობებით.

სხვადასხვა კუთხეში სადღეგრძელოების გარკვეული თანმიმდევრობაა დამკვიდრებული. მაგალითად, გურიაში პირველად მშვიდობის სადღეგრძელო იმდება. მთიან მხარეებში—ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, ხევსა და მთიულეთში, სადაც უფრო მეტად ლულითა და არყით მოილხენენ, ხატის ანგელოზს, კუთხის მფარველ წმინდანს შესთხოვენ შემწევობას. მთელ საქართველოში პირველ ექვს-შვიდ სადღეგრძელოში თამადა მშობლებს, დედამამისშვილებს, მეგობრებსა და ახლო ნათესავებს, სამშობლოს დალოცავს, გარდაცვლილებს მოიხსენიებს. მოქიფენი სათითაოდ წარმოთქვამენ სიტყვებს აწეული სავსე ჭიქით ხელში. ყველა მათგანი ცდილობს იყოს გამორჩეული, გონიერი და ამოდ მოუბარი. სადღეგრძელოების თანმიმდევრობის იმპროვიზაცია თამადის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და დოგმას არ ექვემდებარება. თუმცა არის ის, რაც ქართულ სუფრაზე აუცილებლად უნდა წარმოითქვას. მათ შორისაა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემწევობისა, რასაც ნადიმის დასასრულს იტყვიან.

საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა კუთხის ადამიანთა ბუნება და მსოფლმხედველობა შესაძლოა, უფრო მეტად არაერთგვაროვანი ჩანდეს, ვიდრე რომელიმე ორი ევროპული ერისა. რამდენადმე განსხვავებული ჰავა, ლანდშაფტი, ნიადაგის ფერი და ადამიანთა ხასიათის მრავალსახოვნება... თუმცა, სტუმარი ყველგან ერთ-ერთი უმაღლესი და შეუბღალავი ფასეულობაა, მის მიმართ დამოკიდებულებას არაერთგვაროვნად ამჟღავნებენ. აღმოსავლელი—კახელები და ქართლები, სუფრასთანაც ისეთივე დინჯნი და ზომიერნი არიან, როგორც ყოფაში, სითბოსა და ემოციების გამოხატვისას ფრიად თავშეკავებულნი. თვალმისაცემია პატივისა და საჭმლის შეთავაზების ძალზე უცერემონიო, დასავლელი ქართველისათვის მიუღებელი ფორმა. ქართლელსა და კახელს საჭიროდ არ მიაჩნია სტუმართან იმ სიყვარულის გამოვლინება, რასაც განიცდის. ამას მხოლოდ სადღეგრძელოს წარმოთქმისას ახერხებს, ისიც—ნაწილობრივ. თუმცა, მათ სუფრაზე ყოველთვის არნახული და არასაჭირო გასტრონომიული სიუხვეა და განსაკუთრებით პოპულარულია შედარებით მარტივი რეცეპტებით მომზადებული ხორციანი კერძები. რადგან კახური ღვინო ძალიან ძლიერმოქმედი, როგორც თავად უწოდებენ, მაგარია, აღმოსავლეთში თამადა ცდილობს სადღეგრძელოები დროში განავრცოს, სტუმრებს თრობა სწრაფად რომ არ მოერიოთ. შავ ღვინოს ხანგრძლივ სუფრაზე იშვიათად მიირთმევენ. ნადიმისას უფრო თეთრი ღვინო იმდება, რომელიც ძალზე მძიმე და გემრიელია. მას ბოლოში გამორჩეული, ოდნავ მწკლარტე გემო დაჰკრავს. აღმოსავლური მსუყე საჭმელი ამ ღვინის მათრობელა შემოქმედებას ანელებს. თამადა ცდილობს, დრო, სადღეგრძელოებს შორის, სიმღერებით შეავსოს. არსებობს მოსაზრება, რომ რთულ მრავალხმიან სიმღერაზე ყურადღების კონცენტრაცია მოქიფე-შემსრულებლებს ხელს უწყობს, თრობისაგან გამოფხიზლდნენ. საერთოდ, სუფრაზე მომღერლების ყოფნა მთელ საქართველოში ჩვეულებრივი ამბავია. იმპროვიზაციულად შეხმიანებული უცხო ადამიანებიც კი ასრულებენ როგორც ხალხურ პოლიფონიურ, ასევე ქალაქურ სიმღერებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ნადიმის დროს (მაგ. ქორწილი, ნიშნობა, იუბილე და სხვ.) მასპინძელი გამორჩეულ მომღერლებს და მოცეკვავეებს ეპატიჟება, რათა ქიფი დაამშვენოს და სტუმრებს თავი მოაწონოს. ამიტომ, ქართული სუფრა ზოგჯერ სპექტაკლ-მიუზიკლს წააგავს, სადაც მასპინძელი პროდიუსერია.

დასავლელი ქართველის მასპინძლობა სითბოსა და სიყვარულის ამოფრქვევის გაბმული სეანსია. იმერეთსა და სამეგრელოში, სუფრასთან, ***დასასრული გვ 9.**

ადამიანთა ამგვარი თავყრილობა რელაქსაციისა და გახსნილობის, მომაბეზრებელი ყოველდღიურობისაგან გაქცევისა და თვითგამჟღავნების საუკეთესო საშუალებაა. ეს გახლავთ ადგილი, სადაც შინაურები თუ უცხოები ერთმანეთს ლოცავენ და აქებენ, ფილოსოფიურ აზრებს აფრქვევენ, მჭევრმეტყველებითა და ხუმრობით თავს იწონებენ.

პათოსი ქართული სუფრის უპირველესი სულისკვეთებაა. პათეტიკურად რომანტიული განწყობილება, რომელსაც მოქიფენი უპირობოდ ემორჩილებიან, ავლენს მისწრაფებას ამაღლებული გრძობების კოლექტიური თანაგანცდისაკენ. ჰეროიზმი, რასაც ქართველები ღვინის სმის დროს იჩენენ, ამ განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებს და ნადიმი განუმეორებელი ექსტაზის დონემდე აჰყავს. XX საუკუნის ევროპელთათვის კარგად ცნობილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ქართველთა ლხინში დიონისურ, ბაკქანალიურ საწყისს ეძებს და ექსტაზის ასეთ მაქსიმალურ გამოვლინებას ხორციელ სიამოვნებებს ადარებს. ისე კი, ერთად ყოფნის სიხარულისა და სიყვარულის ასეთ სიმალლეს გუნდური ურთიერთობის სხვა ფორმაში ძნელად თუ ვიპოვნით; და, თუ ამ პროცესში თავად არ მონაწილეობ, გარედან მჭვრეტელისათვის მთელი ეს რიტუალი ზოგჯერ ირონიული დამოკიდებულების აღმძვრელიც კია.

ქართველები სულ ევროპასა და აზიას, დასავლურსა და აღმოსავლურ მისწრაფებებს შორის ირყეოდნენ. ქართულ სუფრაზე ეს ორი საწყისი თანაბრადაა გამოხატული.

რაციონალური ფორმა—დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზეა დამყარებული. მას შემდეგ, რაც მასპინძელი უფლის სადიდებულს იტყვის და მისგან შეწვევას ითხოვს, გრძელ ან მრგვალ მაგიდასთან შეკრებილი ადამიანები ირჩევენ ერთ ლიდერს და ადღეგრძელებენ მას, ვინც ნადიმი უნდა წარმართოს და ვისაც თამადას უწოდებენ. მის გონიერებასა და გამჭრიახობაზე, არტისტიზმსა და განათლებაზეა დამოკიდებული, რამდენად სასიამოვნო და წარმატებული იქნება სუფრა — ადგილი, რომელიც თამადამ თეატრად უნდა აქციოს, სადაც უნდა გამართოს წარმოდგენა, მაგრამ არამცდარამც — მონო სპექტაკლი.

მაის-ივნისში ბევრი სათქმელი დავიკვრავდა, ზოგი – საკუთარი თვალთ...

კაციაშვილი ინდგემით ემზადება

შარშანდელი საჭიდაო სეზონის კიდევ ერთი ტრიუმფატორი, გიორგი კაციაშვილი, ათენურ შემოწმებაზე მწვრთ...

გიორგის ამან ხელი როდი შეუშალა იმაში, რომ 12 მაისს წარმატებით გამოხდეს სოფელ მტეხში გამართულ შეჯიბრებაში (ქართულ ჭიდაობაში)...

გეგაძე მეორეა, მაგრამ...

დიუდოსტა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელების დუეტის, ირაკლი ცირკიძისა და მინდია ბოდაველის, ბიჭების მიერ საბერძნეთიდან უხვად მონადავლებულ ფულაბაში (4 ოქრო, 6 ვერცხლი და 9 ბრინჯაო) მესამე სინჯის მედალი ჩალო ჩვენებურმა დავით გეგაძემაც...

ავანსი ჭაბუკი დანიელისათვის

საქართველოს წლევეანდელ ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში (ჭაბუკთა შორის) 63 კილოგრამის კატეგორიაში, პირადი მწვრთნელისა და ნაკრების მწვრთნელების მოლოდინისამებრ, გაიმარჯვა დანიელ მარქარაშვილმა (კასპი).

დანიელმა მათი ნდობა გაამართლა საბერძნეთშიც, სადაც საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონობა ირგუნა. მისთვის და მისი თანატოლებისათვის წლევეანდელი მთავარი სამიზნე მაღალი დონის ორი შეჯიბრებაა: ესაა 19-24 ივლისის შეჯიბრებაში დაგეგმილი ევროპის პირველობა და 13-18 სექტემბრისათვის ქ. თბილისში ჩასატარებელი მსოფლიო ჩემპიონატი... ვფიქრობთ, ჭაბუკ დანიელს ორივეგან გამოსვლის შანსი მიეცემა.

ეროვნული ფედერაციის პატრონაჟით

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წლევეანდელი კალენდარული შეჯიბრებები ზაფხულის თვეებში მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში გაიმართება: სამთავისში – ვანო გამხიტაშვილის, კავთისხევში – ვალერიან იაშვილის, ხოვლეში – მძები ნინიაშვილების ხსოვნის მემორიალური და, ასევე, ოთარ ყურაშვილისა და სხვათა სახელობისა...

ისე კი, სოფლებში თვით ადგილობრივი მესვეურები და აქტივისტები რომელ შეჯიბრებებს შესთავაზებენ გულშემატკივრებს, ეს მათი გადასაწყვეტია და ფართო არჩევანი აქვთ.

(პ. ს.: ერთი ასეთი დონისძიების შესახებ – ქვემოთ).

პაატა ჯავახიშვილის მემორიალური

ქსნისხეობელმა მეგობრებმა და ნაცნობებმა პატივი მიაგეს და გაიხსენეს 2015 წლის ოქტომბერში, 56 წლის ასაკში, გარდაცვლილი თეხელი მოჭიდავე იყო დრო, როცა პაატა ჯავახიშვილს არაერთხელ უჭიდავია ხეობის სოფლებში და ლამაზი გამოსვლებით თავი დაუმახსოვრებია მაყურებლისათვის... ახლა, მისი ხსოვნის პირველ მემორიალურ ტურნირზე, სოფელ თეხში, ყველაზე ყოჩაღად გამოვიდნენ ახალგაზრდული მოჭიდავეები, რომლებმაც 9 წლითი კატეგორიიდან 6-ში გაიმარჯვეს.

ბიჭო, იგი პაპაა შენი...

“ბიჭო, იქნებ, პაპა იყო შენი”... – მღეროდნენ ხალხში... აი, კასპელ ჭაბუკს, ვასილ გვიმრაძეს, ნამდვილად შეუძლია იამაყოს პაპით, ვახტანგ მუშლაურით. იგი იოსებ მაღალაშვილის თაობელი მოჭიდავეა, ვატო პაპა (ქალაქში მას ასე იცნობენ) ფრიად მოწადინებულია, რომ შეილიშვილმა მასზე უკეთეს შედეგებს მიაღწიოს და ამიტომაც ყოველნაირად უწყობს ხელს თბილისში სავარჯიშოდ სისტემატურ მისვლა-მოსვლაში. პაპის მეგობრები ამბობენ, რომ პატარა ვასილ დედაქალაქელი მწვრთნელების ფრთებქვეშ უკეთ გამოიყურება. მძიმეწონის თანატოლებთან ჭიდაობაში მან ახლახან ქ. ზუგდიდში მეორე ადგილი დაიკავა.

შორს არაა ის დღე, როცა შვილიშვილი პაპას ამაგს დაუფასებს სასახელო გამარჯვებით და მიახარებს: – პაპა, მე ჩემპიონი ვარ!

იმსაჯა “თბილისის გრანპრის” ტურნირზე

ამ გაზაფხულზე საქართველოს დედაქალაქში გამართული დიუდოსტა საერთაშორისო ტურნირი ერთი სასიამოვნო ფაქტის გამო უნდა გავიხსენოთ: ტურნირის ორგანიზატორების მიწვევით მომსახურე მსაჯთა რიგებში იმყოფებოდა კასპელი ვეტერანი მოჭიდავე – გიორგი ბერიძე, ამჟამად მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელი.



ევრაზიის ჩემპიონატის გამარჯვებული და პრიზორი

“ბრძოლა წესების გარეშე” – ასე ერქვა ევრაზიის ჩემპიონატს, რომელსაც წლევეანდელ მაისში საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა. მასში წარმატებით გამოვიდა ორი თანარაიონელი ახალგაზრდა სპორტსმენი – დავით ხაბალაშვილი და დავით ხუციშვილი. წარმოიდგინეთ ჩემპიონსაცა და მეორე პრიზორსაც.

დავით ხაბალაშვილი – იგი სოფელ ახალქალაქიდანაა. 26 წლისა 2 ივნისს შესრულდა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეა (ძმები გაბოდების ნამოწაფარი) და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, უმარჯვია ქართულ ჭიდაობაშიც. სპორტული კალენდარი როცა საშუალებას აძლევს, მუდმივად ფორმში ყოფნის მიზნით ასპარეზობს წესების გარეშე ბრძოლაშიც. თბილისურ სამაისო პირველობაზე 78 კილოგრამის წონით კატეგორიაში უკრაინელი და თურქი მეტოქეების შემდეგ ფინალში ქართველ სეზნიას, გვარად ტყეშელაშვილს, სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა... დავითს ივლისში საუნივერსიადო პირველობაზე მოუწევს გამოსვლა.

დავით ხუციშვილი – იგივეთვე ჭაბუკი ჯერ 20 წლისაა (შეუსრულდა 21 ივნისს). ამჟამად სამხედრო-საკონტრაქტო სამსახურის რიგებში ირიცხება და სპორტული პროფილის დანაყოფშია, იცავს არმიული სპორტკლუბ “ზრიდოლის” სახელს. ისიც თავისუფალი სტილის ჭიდაობაზეა ორიენტირებული. მისი პირველი მწვრთნელია ზელიმხან ილურიძე, ამჟამად კი გიორგი ავსაჯანიშვილის მითითებით ემზადება. ძალები რამდენჯერმე მოსინჯა კარატეში და წარმატებითაც: არის საქართველოს 2-ეზის ჩემპიონი და ამ-

ეირკაკასიის პრიზორი ახალგაზრდებში... თბილისურ ბოლო შეჯიბრებას რაც შეეხება, მასაც 3 შეხვედრის გამართვა მოუხდა და, მისდა დასანანად, ფინალური დათმო (72 კილოგრამის კატეგორიაში). ჭაბუკი დავითის მიზანსწრაფულობა გვაფიქრებინებს, რომ იგი სასახელო სპორტულ კარიერას შეიქმნის.

ქალაქის პირველობაზე

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის სტარტის პარალელურად გაჩაღდა ქ. კასპის პირველობა მინიფეხბურთში საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის. 13 გუნდმა 3 ჯგუფად გაარკვია ძლიერ-სუსტების შესაძლებლობანი და 23 ივნისიდან საპლეიოფო შეხვედრებში დაწყვილდნენ, თვის ბოლოს კი გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვევა (გაზეთის გამოსვლის გრაფიკიდან გამომდინარე, ტექნიკურ შედეგებს ივლისის ნომერში დაუბრუნდებით)... ისე, რა ძალა გაჩინა პატარა მრგვალ ბურთს, რომელიც ერთნაირად უკადებს ცეცხლს გულშემატკივრებს ქართულ ციციქა ქალაქშიცა და ევროპის ქალაქებშიც!



ჩვენი კალენდარი

ივლისში დაიბადნენ: 13 – ვანო გამხიტაშვილი (1963 წ., მოჭიდავე, სამბისტო, სოფ. სამთავისში გაიმართება ხსოვნის ტურნირი, გარდაიცვალა 1999 წ.); 20 – დავით კობაური (1954 წ., ფეხბურთი, მწვრთნელი); 25 – გიორგი მერებაშვილი (1980 წ., მოჭიდავე, გარდაიცვალა 2005 წ.); 29 – ზვიად ოღოშაშვილი (1989 წ., მოჭიდავე).

ორი იუბილარი – საფეხბურთო და საჭიდაო სკოლების დირექტორები

ზაფხულის ამ თვეებში საიუბილეო თარიღები შეუსრულდათ საქართველოს მასშტაბით ცნობილი მუნიციპალური სასპორტო დაწესებულებების – კასპის ბავშვთა საფეხბურთო და მეტეხის საჭიდაო სკოლების თავკაცებს, ავთანდილ ჯალალსა და ნუგზარ მამულაშვილს.

პირველი მათგანი 70 წლისა შესრულდა და სკოლის დირექტორობიდან დიდსულოვნად წავიდა, თუმცა სპორტის სამსახურში რჩება თავისი დიდი გამოცდილებით.

მეორე კი, ცნობილი მოჭიდავე და მწვრთნელი, ნუგზარ მამულაშვილი, 60 წლისა შესრულდა. 22 ივნისს სოფელ მტეხში დიდი საჭიდაო ზეიმი გაიმართა.

ა. კალანდაძე.

მოჭიდავითი მელაქიაძე, გაეყვანით თქვინი ნამუქეჟოში (ნაპომოდიენით ელქსონისელი ვიქსია) და გააყვანით ისინი სპორტოლოგებს. ...სახლი გზითაი, იძიებს ზაინციფრის სურათებს ჩვიონის სჯგზითო თოყო-მს-ციანის შექაქმნილოა. თხოვნიო მიოქმწოთოთი თანაწიონიოეოებს - რაყოოთი თქვინი ყვლოი ჩვიებს მსწიანეშიო გამოგვიგზავნიო ზაინციფრისო რა სჯგზიონო თოყოოებიო!

***დასასრული; დასაწყისი იხ. მე-7გვ.**

თავი შეიძლება სამყაროს ცენტრად გავრძობინონ. ძნელია გაარჩიო, ეს უჩვეულო ფსიქოთერაპია ბოლომდე გულწრფელია, თუ ტრადიციული როლით გატაცებაა, მაგრამ ძალიან სასიამოვნო და მომხუსხველი კია. აქ ღვინო არ არის ისეთი მათრობელი, როგორც აღმოსავლეთში, ამიტომ ღვინის დაძალება, მოწოდება ჭიქის ბოლომდე დაცლის შესახებ, ჩვეულებრივი ამბავია. დასავლურ ღვინოებს უფრო ცხარე და ნივთიერებით შეკმაშული საჭმელი უხდება. ეს კერძები აქაურთა ტემპერამენტთან ხასიათს ჰგავს. თუ არ ჩავთვლით ზანტ და დარბაისელ რაჭველებს, რომელთა უნიკალურ ხვანჭკარას, ყველაზე უკეთ, რაჭულად შებოლილ, უგემრიელეს ლორთან ერთად დაიგემოვნებ. კერძების განსაკუთრებული შერჩევა, სიმრავლე და გასტრონომიული ხარისხი დიასახლისის ოსტატობის მაჩვენებელიცაა და ოჯახის მამაკაცების თავმოწონების საგანიც.

აიგივებენ. კაცი თუ სმის დროს თავდაჭერილობას კარგავს, თრობით მოგვრილი გახსნილობისა და ლაღობის გარდა, თუ ჭკუასუსტობას, ახირებულობას ან აგრესიას ამჟღავნებს, იგი საყოველთაო ანტიპათიას იმსახურებს.

თამადასაც არა მხოლოდ მისი სიქველის გამო ირჩევენ, არამედ ღვინის სმისას გამოვლენილი გამძლეობის ნიშნითაც, რადგან იგი ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციასაც ითავსებს. მას ხომ მომღვინე საზოგადოება უპირობოდ უნდა ემორჩილებოდეს. თამადას სუფრიდან უზრდელი ადამიანის გაძევება შეუძლია. როცა ნადიმის რომელიმე მონაწილე რაიმე მიზეზით იქაურობას ტოვებს, მან ნებართვა აუცილებლად თამადისაგან უნდა აიღოს.

ქართული სუფრა ძალიან ჰგავს დაუმორჩილებელ, ინდივიდუალისტურ საზოგადოებაზე ძალაუფლების გავრცელების ნებაყოფლობით ინსტიტუტს, მმართველობით სისტემას. მასში ჩანს ერთობლივი კეთილი ნება, რომ ადამიანებმა გართობა, ღვინის წესრიგს დაუქვემდებარონ. ამიტომ, თამადის დათრობა სამარცხვინო და უკადრის საქციელად ითვლება. ასეთი კონტექსტისათვის შესანიშნავი ქართული სიმღერაც არსებობს, რომელსაც “ეს თამადა ჩანჩალა” ჰქვია.

საერთოდ, ქართული სუფრის “კონსტრუქცია” ძალზე უცნაური და ზშირად გაუგებარია უცხოელ სტუმართათვის. განუზომელი სიუხვე, მშრალი საუზმეულით სრულიად დაფარული მაგიდა, სხვადასხვა სახეობის “ჩამოტარებული” ცხელი კერძები ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს, ზოგჯერ—აღფრთოვანებას. ერთი კია, რომ აქ არის მრავალფეროვანი და საუცხოო საჭმელი ნებისმიერი გემოვნებისა და მოთხოვნის მქონე ადამიანისათვის.

ნადიმის დროს ვლინდება ქართველთათვის და ყველა ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, ასევე სუსტი სქესისადმი არნახული პატივისცემა. ასაკით უფროსი ადამიანი სუფრაზე გამორჩეულად პრივილეგირებულია, ხოლო, რაც შეეხება ქალს, მას მამაკაცები ემსახურებიან, კერძებს აწვდიან, თავს აწონებენ და ისეთ სადღეგრძელოებს ეუბნებიან, შესაძლოა თავი ზღაპრის უმშვენიერეს პერსონაჟად წარმოადგენინონ. დიასახლისი კი, რომლის ხვედრი გამწვანებამდე სამზარეულოში ტრიალია, მაინც სუფრის უგვირგვინო დედოფალია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქართველთა ქეიფის ის ფორმა, რომელიც დღესაც მოქმედია, მხოლოდ

**ქართული სუფრის
წარმოქმნილი
ყენსაზრობანი**

XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა (თუმცა, ქართველები ანტიკურ ხანაშიც ნადიმობდნენ და თავიანთ “ოქროს ხანაშიც”) და მისი ამ სახით დამკვიდრება განაპირობა სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, არისტოკრატიული საზოგადოებისათვის ეგზომ დამორგუნველმა უფუნქციობამ, უმოქმედობამ, საერთო აპათიისაგან თავის დაღწევის სურვილმა. ასეთი ხანგრძლივი თავყრილობები და ჭარბი ღვინის სმა პიროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზად იქცა. სადღეგრძელო კი განუზოციელებელი სურვილების ახდენისაკენ ამ ადამიანთა მეტაფიზიკურ სწრაფვას ჰგავს.

ძნელია, იწინასწარმეტყველო, შეინახავს თუ არა ნიჰილიზმისა და სეფსისის XIX საუკუნე ქართული სუფრის ფენომენს, რადგან იგი უკვე კარგავს თანამედროვეთათვის არასაჭირო ატრიბუტიკას...

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით სუფრა ისევ მოყვასისადმი სიყვარულის გამოვლენის ადგილია. “ამა სოფლის ამაოებისაგან” დაღლილი ადამიანები დეპრესიისგან თავის დასაცავად ერთმანეთთან გარბიან სტუმრად; ჭიქების წკრიალის ფონზე იფანტება ეჭვები, ქრება სიმულვილი, იხსნება კომპლექსები, იწყება სვლა მიულწვევლი მიზნისაკენ და ერთგვარი შეჯიბრი, როგორც თამაშში, რადგან ქართული სუფრა დიდების მოგონილი პარადოქსული თამაშია.

მარინა ყიფშიძე.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი XXI საუკუნის ყველაზე პოპულარული და პერსპექტიული ინდუსტრიაა. სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს, დასვენება დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის გამოიყენოს — იქნება ეს ტრადიციული თუ არატრადიციული მეთოდები. დღეს, ძვირად ღირებულ დასვენება-გაჯანსაღებაში გადახდილ თანხას კაცობრიობის მოაზროვნე (და შესაბამისი შემოსავლის მქონე) ნაწილი საკუთარ ჯანმრთელობაში ჩადებულ საჭირო ინვესტიციად აღიქვამს.

ჩვეულებრივ მოკვდავებსაც, სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ შემოსავლის შესატყვისი კურორტი შეარჩიონ და დასვენებას გამოჯანმრთელებაც შეუთავსონ.

ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროიდან, იტალია თავისი აბანოებითაა განთქმული. მაგალითად, აბანო-მონტენეგრო თერმე-ევროპის უძველესი ბალნეოლოგიური კურორტია. აქაური თერმული წყალი ნატრიუმის, ქლორის, ბრომისა და იოდის შემცველია და 84 გრადუსამდე თბება. წყაროებს მინერალური ელემენტებისა და ერთუჯრედიანი წყალმცენარეების განსაკუთრებული შემადგენლობა აქვთ. ასეთივე გამორჩეული სამკურნალო თვისებები გააჩნია 38-44 გრადუსის მქონე ტალახსაც.

შვეიცარია სამკურნალო ტურიზმის უპირობო ლიდერია. ყველაზე მდიდარი და ცნობილი ადამიანები გამაჯანსაღებელი დასვენებისათვის უკვე ათეული წლებია იქაურ ალპებში გაშენებულ კლინიკა-სამოთხეებს ირჩევენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია კლინიკა, რომელიც რესპექტაბელურ და მშვიდ ადგილას, ჟენევის ტბასა და მონტრეს შორის მდებარეობს. იგი 1931 წელს დაარსდა უჯრედოვანი თერაპიის ავტორის პოლ ნიეჰანსონის მიერ. კლინიკა დაბერებასთან ბრძოლის შეუდარებელი მეთოდებითაა ცნობილი. თავიდანვე, ინექციების სპეციალური კურსი გამოიგონებულ შედეგს იძლეოდა — ანადგურებდა ვირუსებს, აახალგაზრდავებდა ორგანიზმს. 1953 წელს პროფესორი ნიეჰანსონი ვატიკანში პაპის სამკურნალოდ მიიწვიეს. უჯრედოვანმა თერაპიამ პაპი გამოაჯანმრთელა და ამ მეთოდმაც მსოფლიოში გაითქვა სახელი. რევიტალიზაციის პოპულარული პროგრამის გარდა, მას გააჩნია თანამედროვე დიაგნოსტიკური კომპლექსი, პლასტიკური ქირურგიის ცენტრი, სტო-

**სეზონის მოდური
საზრუნავი**

მატოლოგიის განყოფილება და სპეციალური მეთოდები სხეულისა და სახის გაახალგაზრდაებისათვის. კლინიკის უნიკალური პრეპარატი იმუნური სისტემის სტიმულატორია და დაბერების პროცესს აყოვნებს. წამლის შემადგენლობა მკაცრად გასაიდუმლოებულია და მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ პრეპარატი ადგილობრივ ფერმებში მოშენებული შავი ცხვრის ემბრიონის ღვიძლის უჯრედებისაგან მზადდება. უჯრედოვან კოკტილს, რომლის ფორმულა ათწლეულების მანძილზე ზშირად იცვლებოდა, სენსაციური შედეგები აქვს. ბევრი პაციენტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ორ წელიწადში ერთხელ, ერთსა და იმავე, განახლებულ ერთკვირიან კურსს იტარებს. კურორტს რამდენიმე უნიკალური მეთოდი აქვს: ნაოჭების საწინააღმდეგოდ (ოქროს ელექტროდებით), ტანის მოვლის პროცედურა ჟანგბადის ინექციებით. ლამის ოთხმოცი წლის განმავლობაში კლინიკა საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობს. ამიტომაც იყვნენ კლინიკის პაციენტები უინსტონ ჩერჩილი, შარლ დე გოლი, კონრად ადენაუერი, ჩარლი ჩაპლინი, სომერსეტ მოემი, მარლენ დიტრიხი, ფრენკ სინატრა...

მსგავს კლინიკაში, ფუფუნების და სილამაზის რეზიდენციის სტუმარი ხართ. ისინი საუკეთესო ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს ჰგავს — კულინარიული შედეგები, ჟენევის ტბაზე სეირნობა და მზის აბაზანები. აქაური რესტორნები როგორც ტრადიციულ, ისე დიეტური კვების პროგრამაში, ერთსა და იმავე კერძებს გთავაზობთ. ცხიმები მცენარეული ზეთითაა შეცვლილი. კერძები გემრიელია და თანაც წონაში იკლებს. მენიუდან გამორიცხულია ალკოჰოლი. მთავარი კონცეფცია — ადამიანებისადმი მკაცრად ინდივიდუალური მიდგომაა. აქ ექიმები იმ პაციენტების ყოფის გაუმჯობესებაზე ფიქრობენ, ვინც საკუთარ ჯანმრთელობაში სერიოზული ინვესტიცია დააბანდა.

ინდოეთის მაჰარაჯების სასახლეებსა და ზღაპრული კომფორტის მქონე სასტუმროებში ტრად-

იციული ინდური მედიცინის—აურვედას სპეციალისტები ჯანსაღი დასვენების მოყვარულებს გაახალგაზრდავების პროგრამასთან ერთად, მრავალ სამკურნალო საშუალებას სთავაზობენ.

აურვედა ნიშნავს მეცნიერებას სიცოცხლის შესახებ. სამედიცინო სწავლება, რომელიც 5000-ზე მეტ წელს ითვლის, უძველეს ტექსტებსა და საუკუნეების გამოცდილებაზეა დამყარებული. იგი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერაც არის აღიარებული. აურვედა, დასავლური მედიცინისაგან განსხვავებით, ადამიანს სხეულის, გონებისა და სულის ერთიანობად განიხილავს. ავადმყოფობას მათი დისბალანსი იწვევს, მკურნალობის მიზანი კი წონასწორობის აღდგენაა.

აურვედას მიხედვით, ჯანმრთელობის ყველა პრობლემა ცხოვრების არასწორ წესს უკავშირდება, რომელიც არღვევს თანაფარდობას ადამიანის ორგანიზმის 3 უმთავრეს ძალას შორის. თავდაპირველი დიაგნოსტიკა ადგენს, რომელია თქვენს ორგანიზმში ძირითადი ძალა (ვატა, პიტა თუ კაჰა), ან როგორია მათ შორის ურთიერთმიმართება. შემდეგ იწყება კვანძების აღმოჩენა და გახსნა, რომლებიც ბლოკირებულია და იწვევს სულიერ თუ ფიზიკურ უძლურებას. ბევრი ქრონიკული დაავადების — შაკიკის, ფსორიაზის, უძილობის, სახსრების და ხერხემლის, ლეიკემიის დროს აურვედა ტრადიციულ მედიცინაზე უკეთეს შედეგს იძლევა. აურვედას მიხედვით, დაავადებათა უმრავლესობა ფსიქოსომატურია. ამიტომ, წამლებთან, მასაჟთან, სხვადასხვა გამწმენდ პროცედურებთან ერთად, აქტიურად გამოიყენება მედიტაცია.

აურვედას პროგრამები, სასურველია, მუდმივად, წელიწადში ერთხელ მაინც ჩაიტაროთ. მთავარი მათ შორის—ორგანიზმის გაწმენდაა (პანჩაკარმა). ადამიანისათვის ცივილიზაციის ჯილდოა უამრავი შხამის გროვა, რომელიც ბლოკირებას უკეთებს უჯრედებს, იწვევს გადაღლილობას, ენერჯის ნაკლებობას და დაბალ სასიცოცხლო ტონუსს. პროგრამის მიზანი ორგანიზმიდან ამ შხამების გამოღვენა და პირველადი ენერჯის (დოშის) ბალანსის აღდგენაა—პროცედურა 2-4 კვირის მანძილზე სამკურნალო ზეთის მასაჟებს, ბალახეული წამლების მიღებას, ორთქლის აბანოს და სპეციალურ პროცედურებს მოიცავს.

***დასასრული მომდევნო ნომერში**

გილოწავთ!

იზაბელა კობიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წახმაჯ-

ბებს; საინტეხსო ცხოვრების გაგრძელებას ჩვეულებრივად და ენეჯიტივით, საკუთარი შემოქმედებითი ნიჭითა და უნახით მეგობრების გახსენებას. მეგობრები.

წავშვებო!

კარგა ხანია ვრწმუნობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გეგმავთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინაობებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზა-

რებათ (ან არ სწავლიათ!) რომ გააძვიროს. თქვენ ახლა უფრო ზევით იწით ვიდრე მარჯვენა და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლმად, გვერდს საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიძლება მსოფლიოში გაფანტულ საზოგადოებრივ მუშაობებსა და ატრაქციონებს, ნაყოფიერებსა და

ჯერ ვერ აღმოჩენილ საგანძურებს ...

მომრბანდით რედაქციას! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

„აკესურა“

შ.პ.ს. „ჰაიდელბერგსემენტ ჯორჯიას“ კასპის ტერიტორიის ქარხანა ახსნადას პაქანისას

შ.პ.ს. „ჰაიდელბერგსემენტჯორჯიას“ კასპის ტერიტორიის ქარხანა ახსნადას პაქანისას შემდეგ თანამდებობაზე:

1. ჰოხობონტაქი კონვეიერის ოპერატორი (კავთისხევის კიჩქის კახიხი);

გთხოვთ, წახმადგინოთ თქვენი ხელნაწერი ადამიანური ხელნაწერების მართვის დეპარტამენტში ა/ნლის 6 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფაქსნაწერის ქ.№2.

E-mail: maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge



მარიამ (ლალი) თათრიშვილი

გარდაიცვალა გიორგი სორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე მარიამ (ლალი) თათრიშვილი... უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1977 წლის ნოემბრიდან ლალი

გამოსათხოვარი

თათრიშვილი მუშაობდა დაიწყო კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე, 1989 წლიდან იგი იყო უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ხოლო 1991 წლიდან მუშაობდა მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგედ. შემდეგ წლებში იყო კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი. 2014 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ლალი თათრიშვილი იყო მშობლიური მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე ... ძალიან ძნელია წარსულში ლაპარაკი ადამიანზე, რომელთანაც უამრავი თანამშრომლობის საინტერესო წელი გვაკავშირებს.

ჩვენო ლალი, ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ადამიანო, ისე უცებ გამოგვეცალა ხელიდან, რომ ნუგეშს ვერ ვპოულობთ, თურმე, როგორ

გვილამაზებდი ცხოვრებას. შენ ათეული წლების განმავლობაში აქტიურად იყავი ჩართული სამუშაოში საქმიანობაში. ენერჯის დაუზოგავად ემსახურებოდი მშობლიური კუთხის წარსულის შესწავლის და შენახვის საქმეს; უდიდესი შრომა გასწიე მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიციის მოსაწყობად... დაუსრულებლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ შენს მიერ უანგაროდ გაწეულ სამუშაოში მუშაობასა და თვდადებობაზე, პირად ინციტატივასა თუ მაგალითზე. იყავი ერთგული მეგობარი, მზრუნველი შვილი, სამაგალითო თანამეცხედრე, მოსიყვარულე დედა და ბებია. მშვიდად განისვენე მართლთა სასუფეველში!

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება,
ქ ა ს კ ი ს
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ხსოვნა



შენი მოსახლე დისშვილი და-თუნა და მისი ძმა საბა ყოველდღე გიხსენებენ, მათაც ძალიან აკლიხარ.

შენი და ცდილობს გამოიღოს ცხოვრება, გვიან წავიდეს ამერიკაში, რადგან არ უნდა ჩემი მართლ დატოვება... როგორ დატოვებ დედა მართლ?

მამის გარდაცვალებიდან ოცი წელი გავიდა. იმ დღიდან რომ იყავი სასაფლაოზე, ალბათ გამოემშვიდობე კიდევ.

ასე უჩუმრად როგორ დაგვტოვე ჩვენო საფიცარო, მონატრებულო, უსაყვარლესო... ტკბილად ჩაძინებულივით, მომღიმარი სახით წახვედი მარადიულ სასუფეველში, ისე, რომ ერთი არ დაგიკენესია ...


იმედია ხარ იქ ... "სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი აწ და მარადის, უკუნისი უკუნისამდე." ოჯახი.

დათო ღვინიაშვილი

ორმოცი დღე გავიდა შენი წასვლიდან და ყოველდღე თვალცრემლიანი გიხსენებთ.

ღმერთმა არ გვაკამარა შენი ახალგაზრდა დედაშვილის და ბიძაშვილის ამ ქვეყნიდან ნაადრევი გასვლა.

ჩვენს ოჯახში შენ იყავი "ხელმარჯვე ოსტატი," ეზოში თუ სახლში რასაც ვხედავთ, ყველაფერს შენი ხელი ატყვია.



ნანა (ვანიკო) პაშვილი

რა ნადრევად დაგიბნელდა მზე სიცოცხლისა, ჩვენო ვანიკო! შენ მხოლოდ 30 გაზაფხული გარგუნა ბედისწერამ. იქ, შორეული რუსეთის ცივ მიწაზე ტრავიკულმა შემთხვევამ გიმსხვერპლა და სული შენი

ხსოვნა

ზეცად ამდღა... აქ კი, ამ ცოდვამდღიან საწუთროში ბერი აუხდენელი ოცნება დაგრჩა. წახვედი და თან გაიყოლე დარდი და ნატვრა სვეგამწარებული მშობლებისა, ცალუდელა მუდლისა და შენი სიცოცხლის გამგრძელებელი ყლორტების, გიორგის, ლუკას, დავითის და გაბრიელის.

ჩვენო ვანიკო, ჩვენო ტკივილო და დარდო, 14 ივნისს ერთი წელი შესრულდა შენი გარდაცვალებიდან, ახლოვდება შენი დაბადების დღე, პირველი ივლისი, რომელსაც სიხარული და ღებნა მოჰქონდა შენი ახლობლებისათვის, ყველა გეფერებოდით და თავს გვევლებოდით... რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, ახლა კი, გულდამძიმებულნი, ცრემლითა და გოდებით სავესნი შენი მარადიული სამკვიდროსაგან სავალ

გზას დავადებთ, იქ, სადაც ცივ მარმარილოში განსხულებული შენი ლამაზი სახე სევდიანი სახით შემოგვეგებება. სანთლებს ავანთებენ შენი ლამაზი შვილები და სულეთის გზა-ბილიკებს გაგინათებენ, შენს გაყინულ გულს კი დედის ცრემლი დაეკურება და ია-ენძელად ავიყვავდება...

და წლები წავლენ, თეთრი რაშებვიით გაიქროლებენ, დროის ლაბირინთში ჩაინთქებიან გაფერძრთალებული მოგონებები. შენი წასვლით მოყენებული სულის ჭრინლობა კი მარად უკურნებლად დარჩება ჩვენს გულში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი საყვარელი, მშობლიური სოფლის მიწა... ნათლის სვეტი არ მოჰქვებოდეს შენს სულს. ოჯახი.

<p>კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების ტერიტორიის ქარხანის ახსნადას პაქანისას</p> <p>რომელიც მუშაობდა მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგედ. შემდეგ წლებში იყო კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი. 2014 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ლალი თათრიშვილი იყო მშობლიური მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე ... ძალიან ძნელია წარსულში ლაპარაკი ადამიანზე, რომელთანაც უამრავი თანამშრომლობის საინტერესო წელი გვაკავშირებს.</p> <p>ჩვენო ლალი, ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ადამიანო, ისე უცებ გამოგვეცალა ხელიდან, რომ ნუგეშს ვერ ვპოულობთ, თურმე, როგორ</p>	<p>გიორგი სორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე მარიამ (ლალი) თათრიშვილი</p> <p>გარდაიცვალა გიორგი სორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე მარიამ (ლალი) თათრიშვილი... უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1977 წლის ნოემბრიდან ლალი</p>	<p>გიორგი ღვინიაშვილის ოჯახის მხრიდან</p> <p>გარდაიცვალა გიორგი სორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე მარიამ (ლალი) თათრიშვილი... უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1977 წლის ნოემბრიდან ლალი</p>	<p>მარიამ შარვაშიანი ოჯახით</p> <p>გარდაიცვალა გიორგი სორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე მარიამ (ლალი) თათრიშვილი... უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1977 წლის ნოემბრიდან ლალი</p>	<p>გაზეთი „ახალი განთიარვი“</p> <p>გარდაიცვალა გიორგი სორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე მარიამ (ლალი) თათრიშვილი... უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1977 წლის ნოემბრიდან ლალი</p>
--	--	--	--	--

წინასწარჩვენო აგროფიცი და წინასწარჩვენო რეკლამის განთავსებისთვის 2016 წლის 8 ივნისიდან - 2016 წლის 8 ოქტომბრამდე გამოყოფილია გზების ფართობი. გზების ერთ ნომერში გამოყოფილია ფართობის სიდიდე შეადგენს 5520მ², მთლიანად გამოყოფილია ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760მ². ავტოფარეხის ჩანართის ტერიტორია 368 ტ (1ხმ²-40 თიერი).

რედაქცია ხელმძღვანელობს თათრიშვილი პაქანის პრინციპით. მოგანილი შაქარის სიხარულია პასუხისმგებელი პირი. სარედაქციო მასალები და განხილვების შედეგად რედაქცია პასუხს არ აბედავს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალები გამოქვეყნდება იქამდე.

რედაქცია
ნანა პაქანის პრინციპით

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სპაქანის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76
გაზეთი იბეჭდება გამოცემის შემდეგ იქამდე.